

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

დავით შოშიტაშვილი

ევროკავშირში ექსპორტის პოტენციალის გავლენა საქართველოს
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე

სადოქტორო პროგრამა ბიზნესადმინისტრირება

შიფრი 02

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორეფერატი

თბილისი

2019

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მარინა ტაბატაძე

რეცენზენტები

დაცვა შედგება 2019 წლის "____" ივლისს, ___ საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის

სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე,

კორპუსი VI, აუდიტორია -----,

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკასა და საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (www.gtu.ge)

სადისერტაციო კოლეგიის მდივანი

/ ლ. ბერიკაშვილი/

Summary

David Shoshtaishvili's Thesis "The Influence of Export Potential in the European Union on SME development in Georgia" consists of three chapters and introduction.

Introduction of the topic is substantiated in the introduction, which demonstrates that international trade activism is one of the trends of modern global economy. In the period 1980-2015, the global trade turnover increased by 5.2 times, while the total product was only 2.7 times. The active development of trade led to the growth of welfare, which was adopted by countries involved in the World Trade. At the same time, growing international competition was the source of additional risks. In these conditions, the producers' strategic behaviors and, as a result, the production of the country's economy and the whole economy is the result of the adaptation to the international trade of economic agents. On the other hand, these processes react to the relative advantages of the countries and the structure of international commodity flows. The modeling of these interdependencies in the open economies, revealing the frequency of transformation processes and predicting them is a great scientific, socio-economic and political value, and so is the subject of many theoretical and empirical researchs.

Georgia has been characterized by serious structural changes in all branches of agriculture since 1991 due to the refusal of the Soviet economy and moving to the market economy. Liberalization of the prices in foreign trade became one of the most important factors in market reforms and it is impossible not to have a significant impact on the Georgian economy. The trade balance was significantly increased during this period. The analysis of this period is very interesting for the acquisition of new scientific knowledge on the behavior of the economic system in the process of transformation and for further development of its development.

In terms of growing integration into the global community system of Georgia, it is becoming increasingly important to develop an efficient state policy that is aimed at increasing the competitiveness of the Georgian manufacturer. This issue gains more importance after signing a Deep and Comprehensive Trade Agreement between Georgia and the European Union. In this regard, the analysis of the objective nature of open economic development is very important and plays the role of the necessary information base in the development of optimal state policy and the consideration of exogenous influences on the world bazaar.

In the first chapter, "Theoretical Aspects of International Trade and EU Trade Policy towards the Member States of the Eastern Partnership", the author discusses the European trade policy on the modern stage of development, characterizes the small and medium business in the market relations system.

In the second chapter, "Economic Challenges and Perspectives of Georgia-EU Relations", the author discusses the political and economic perspectives of Georgia's European integration, financial challenges for Georgia and the European Union's support for Georgia and EU support. In addition, the agreement deals with

the Deep and Comprehensive Trade Area Agreement between Georgia and the European Union as an instrument of business promotion.

In the third chapter, "Georgia's Export Potential and Its Use. Business Developer's Mechanisms", the author analyzes Georgian export to the EU and evaluates export potential, discusses domestic and international prices for sale, foreign trade regulatory role in determining the elasticity of domestic prices of sale goods and public-private partnerships, as both state and business Tian interaction mechanism. In the same chapter the author discusses the impact of international trade on the Georgian market: changing the structure of industry, trading expenses and volume of domestic and international supply of goods in the short term.

The conclusion provides generalized results of research, conclusions, methodical and applied recommendations.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა იმაში გამოიხატება, რომ საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთერთ ტენდენციას წარმოადგენს. 1980-2015 წწ პერიოდში მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა 5,2-ჯერ გაიზარდა, მაშინ როცა მთლიანი პროდუქტი - მხოლოდ 2,7-ჯერ. ვაჭრობის აქტიური განვითარება განაპირობა კეთილდღეობის ზრდამ, რომელიც მიიღეს მსოფლიო ვაჭრობაში ჩართულმა ქვეყნებმა. ამავე დროს, მზარდი საერთაშორისო კონკურენცია წარმოადგეს დამატებითი რისკების წყაროს. ამ პირობებში მწარმოებლების სტრატეგიული ქვეყები და, როგორც შედეგი, ქვეყნის წარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის სტრუქტურა, წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების საერთაშორისო ვაჭრობის პირობებთან ადაპტირების შედეგს. თავის მხრივ ეს პროცესები უკუგავლენას ახდენენ ქვეყნების შედარებით უპირატესობებზე და საერთაშორისო სასაქონლო ნაკადების სტრუქტურაზე. ღია ეკონომიკებში ამ ურთიერთდამოკიდებულების მოდელირება, ტრანსფორმაციის პროცესების კანონზომიერებათა გამოვლენა და მათი პროგნოზირება დიდი სამეცნიერო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელია, ამდენად ბევრი თეორიული და ემპირიული კვლევის თემას წარმოადგენს.

საქართველო 1991 წლიდან ხასიათდება სერიოზული სტრუქტურული გარდაქმნებით მეურნეობის ყველა დარგში, რაც განპირობებულია საბჭოურ ეკონომიკაზე უარის თქმითა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით.

საგარეო ვაჭრობაში ფასების ლიბერალიზაცია გახდა საბაზრო რეფორმების ერთერთი მნიშვნელოვანი მდგენელი და შეუძლებელია ამას არსებითი გავლენა არ მოეხდინა ქართულ ეკონომიკაზე. სავაჭრო ბალანსი ამ პერიოდში საგრძნობლად იყო გაზრდილი. ამ პერიოდის ანალიზი ძალიან საინტერესოა ახალი სამეცნიერო ცოდნის შეძენისათვის ეკონომიკური სისტემის ქცევის შესახებ ტრანსფორმირების პროცესში და მისი განვითარების შემდგომი მიმართულებების პროგნოზირებისათვის.

საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში მზარდი ინტეგრაციის პირობებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართველი მწარმოებლის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე. ეს საკითხი მეტ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ამ მხრივ ღია ეკონომიკის განვითარების ობიექტურად არსებულ კანონზომიერებათა ანალიზი ძალზე აქტუალურად გვესახება, ასრულებს რა აუცილებელი ინფორმაციული ბაზის როლს ოპტიმალური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მსოფლიო ბაზრის მასზე ეგზოგენური ზეგავლენების გათვალისწინებაში.

კვლევის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ღია ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაზე და მეწარმეთა ქცევაზე ზეგავლენის მოკლე და გრძელვადიანი ეფექტების შესწავლა.

ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული შემდეგი მიზნების მიღწევა:

1. შიდა და გარე ბაზრების ურთიერთქმედების შესახებ თანამედროვე კვლევების განზოგადება,
2. რეფორმების შემდგომი ქართული ეკონომიკის ღიაობის ხარისხის დადგენა,
3. საქონელზე გარე და შიდა ფასებს შორის ურთიერთკავშირის ემპირიული შეფასება;

4. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ წარმოებათა სტრუქტურაზე ვაჭრობის ზეგავლენის ანალიზი,
5. ქართული წარმოების სივრცობრივ ცვლილებათა ტენდენციების გამოვლენა, ამ პროცესში საერთაშორისო ვაჭრობის ფაქტორის გამოყოფა,
6. ქართული საწარმოების საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის გამოვლენა.

დასახელებული ამოცანების გადაჭრამ მოგვცა საშუალება, ჩამოგვეყალიბებინა დასკვნები ქართულ ბაზრებზე საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ზეგავლენის, აგრეთვე ქართული წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდამჭერი სამრეწველო და საგარე-სავაჭრო სახელმწიფო პოლიტიკის შესაძლო მიმართულებათა შესახებ.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული ასპექტები, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ეკონომიკური გამოწვევები და პერსპექტივები, საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი გამოყენება. ობიექტი - საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული წარმოების დარგები.

თემის შესწავლის მდგომარეობა. სამეცნიერო ლიტერატურა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ დღეს მოიცავს როგორც ღრმა თეორიულ იდეებს და პროდუქტიულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, ასევე ემპირიული დაკვირვების ფასეულ შედეგებს. თეორიული საფუძვლების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი ისეთი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან: პ. კრუგმანი, ჯ. მარკუზენ, ე. ვენიბლისი, ა. დიქსიტი, ე. ჰელპმენი, ი. ჰორსტმანი, ჯ. ბრანდერი, ბ. სპენსერი და სხვანი. გარდა ამისა, თეორიული გამოკვლევების საფუძველზე მუშა ჰიპოთეზები აქვთ შემუშავებული ფ. ვილჰელმსონს, ი. კრევისა და რ.ლიპსეის, ჯ. ლევინსონს, ნ. ლუნდინს, ტ. ჰაზლენდინეს, ა. ჰარისონს, ბ. ჰოეკმანსა და სხვებს. სტრუქტურაწარმომქმნელი საწარმოო ფაქტორებისა და წარმოების ეფექტიანობაზე მათი ზეგავლენის თეორიული ანალიზი და ემპირიული ტესტირება შესრულებულია პ.კრუგმანის, ჟ.-ფ. ტისის, მ. ფუჯიტის, მ.

პორტერის, ჯ. დიურანტონის, დ.პუგის, ა. ვენეიბლსის, რ. ჰელსლის, რ. ლუკასის, ტ. ჰოლმის, კ. სიმონის, დ.სმიტისა და რ. ფლორიდის, ჯ. ჟაფფისა და სხვათა სამეცნიერო ნაშრომებში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა:

1. განზოგადებულია მონაცემები საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შემდეგ ვაჭრობის განვითარების შესახებ საქართველოში; ჩატარებულია ეკონომიკის დიაოზის შეფასებისადმი სხვადასხვა მიდგომების შედარებითი ანალიზი და შედეგების გამოყენების შესაძლებლობა; დასაბუთებულია სტრუქტურული ცვლილებების მოდელირების პროცესში კლებადი სავაჭრო ბარიერების ვარაუდის გამოყენების კორექტულობა;
2. დაზუსტებულია ეროვნული მწარმოებლის ფასისმიერ ქცევაზე საერთაშორისო ვაჭრობის ზეგავლენის ხასიათი;
3. დადგენილია საქონელმწარმოებელთა რიცხვზე ბაზრის მოცულობის დადებითი ზეგავლენა: მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებულ მწარმოებლებთან შედარებით ქართულ ექსპორტორიენტირებულ დარგებში მწარმოებელთა რიცხვის მატება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს;
4. გამოვლენილია მტკიცებულებები მსხვილი მწარმოებლების ზრდის შესახებ ეკონომიკის საექსპორტო დარგებში, რაც შეესაბამება უცხოური და ქართული კვლევების ემპირიულ შედეგებს და ნიშანია იმისა, რომ საექსპორტო საქმიანობაში სწორედ მსხვილი კომპანიები არიან განსაკუთრებულად ეფექტურნი;
5. ნაჩვენებია, რომ დარგებისთვის, რომელთა პროდუქცია კონკურენტუნარიანია შიდა ბაზარზე, ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებია დამახასიათებელი. ამ დროს დომინირებად ტენდენციას წარმოადგენს წარმოების კონცენტრაციის კლება მწარმოებელთა ზომის ზრდისა და გათანაბრების ხარჯზე;
6. დაზუსტებულია საერთაშორისო ვაჭრობის ზეგავლენა საქონლის გაადგილებაზე; ექსპორტზე ორიენტირებული დარგების საწარმოთა

სივრცობრივი სტრუქტურის განვითარების თავისებურებათა შორის გამოვლენილია დეცენტრალიზაციისკენ მიდრეკილება.

კვლევის მეთოდოლოგიამ განსაზღვრა ნაშრომის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენება. ეს საშუალებას აძლევს ავტორს, განაგრძოს თემის შემდეგი კვლევა და გამოიყენოს მოცემული მეთოდოლოგია მონოგრაფიაზე, სტატიაზე თუ სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. წინამდებარე კვლევა ეფუძნება დარგის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მეცნიერების ნაშრომებს, თანამედროვე კვლევების გამოცემულ შედეგებს, საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, სპეციალიზებული და მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალას. კვლევისათვის დასახული ამოცანების შესრულებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი სამეცნიერო მეთოდები: შედარებითი ანალიზი (დისერტაციის მე-2 და მე-3 თავში), სისტემური მიდგომა (მე-2, მე-3 თავები), გრაფიკული და ლოგიკური ანალიზი (ყველა თავში). მონაცემების სტატისტიკური ანალიზის (მე-2 და მე-3 თავები) ჩასატარებლად ჯერ ჩატარებულია აღნიშნული მონაცემების სტატისტიკური დაჯგუფება. დისერტაციის ლიტერატურის მიმოხილვაში, მე-3 თავსა და დასკვნით ნაწილში გამოყენებულია კრიტიკული და შედარებითი ანალიზის მეთოდები. გარდა ამისა, მე-3 თავში გამოყენებულ იქნა მონაცემთა მრავალცვლადიანი ანალიზის მეთოდი და ეკონომეტრიკული ანალიზის მეთოდოლოგია. დისერტაციის სამივე თავსა და დასკვნაში გამოყენებულია მონაცემთა ბაზების ანალიზისა და შედეგებისა და დასკვნების სინთეზის მეცნიერული მეთოდები.

კვლევის ემპირიული ბაზაა თანამედროვე ქართული და უცხოური მეცნიერული ნაშრომები მონოგრაფიების, სტატიების, საკონფერენციო მასალებისა და სამეცნიერო ფორუმებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების სახით, აგრეთვე საერთაშორისო ანალიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები.

ყოველივე ამან განაპირობა **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**. ჯერ ერთი, კვლევის დროს მიღებული შედეგები შეიძლება იქნას განხილულ ორიენტირის სახით სახელისუფლო ორგანოებისათვის დარგობრივი მრეწველობისთვის ანდა ანტიმონოპოლიური, სამრეწველო და საგარეო-სავაჭრო პროგრამების შექმნის პროცესში. მეორე - სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის გამოყენება შესაძლებელია საგარეო ვაჭრობის, ორგანიზაციის თეორიის, სინერგიული ეფექტების შესახებ სპეციალური კურსების მომზადების პროცესში.

სადისერტაციო კვლევის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 166 გვერდზე კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტისაგან, რომელიც მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, სამ თავს (რომელიც შედგება 10 პარაგრაფისგან), დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული ასპექტები და ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების მიმართ

1.1. ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა განვითარების თანამედროვე ეტაპზე

ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან ხორციელდება ევროკავშირის (საგარეო) ვაჭრობის პოლიტიკის ფარგლებში. ევროკავშირის მერ მოლაპარაკების წარმოებასთან და საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმებასთან დაკავშირებული კომპეტენციები განსაზღვრულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 216-219 მუხლებში. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, საერთო საგარეო სავაჭრო პოლიტიკა არის ევროკავშირის ექსკლუზიური კომპეტენცია. ევროკავშირის ვაჭრობისა და ინვესტირების სტრატეგია წარმოადგენს ევროკავშირის ვაჭრობის პოლიტიკის ძირითადი მიზანს - სამართლიანი და ღია ვაჭრობის გლობალური სისტემის შექმნას, სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან ბაზრების გახსნას, ყველა მონაწილესთვის ერთნაირი წესების დაწესებას,

გარანტიას, რომ ვაჭრობა უზრუნველყოფს მდგრადი რეგულირების სფეროში თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას.

ევროკავშირის სავაჭრო-საინვესტიციო პოლიტიკა შემუშავებულია და ხორციელდება ევროკომისიის ვაჭრობის გენერალური დირექტორატის მიერ. სავაჭრო პოლიტიკის ზოგადი მიმართულებაა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მსოფლიოს მასშტაბით ბაზრების გახსნაში და 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ევროპული ეკონომიკის აღორძინების კუთხით.

ევროპის თანამეგობრობის შექმნის დღიდან (საგარეო) სავაჭრო პოლიტიკა მიჩნეული იყო საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური გზა. საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა გახდა ევროკავშირის კომპეტენცია რომის ხელშეკრულების შემდეგ, რომელიც ძალაში შევიდა 1959 წელს. ერთიანი კომერციული პოლიტიკის (CCP) თანახმად განსაზღვრულია საგარეო ვაჭრობის სამი ძირითადი პრინციპი - ერთიანი საგარეო ტარიფი, ერთიანი სავაჭრო შეთანხმებები ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრები და ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ სავაჭრო ინსტრუმენტების ერთნაირი გამოყენება. საერთო პრინციპების ერთგვაროვანი გამოყენება ხელს არ უშლიდა წევრ ქვეყნებს სხვა სახელმწიფოებთან გაეფორმებინა საინვესტიციო ხელშეკრულებები. ვინაიდან მხოლოდ რამდენიმე ძალაუფლება იქნა დელეგირებული ევროკომისიაზე, ე.წ. შერეული შეთანხმებებისთვის, ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ რატიფიცირება არ იყო საკმარისი და საჭირო იყო ასევე ეროვნული პარლამენტების მიერ რატიფიკაციის გაკეთებაც. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრი სახელმწიფო დაინტერესებული იყო არაწევრ სახელმწიფოსთან სავაჭრო შეთანხმების გაფორმებით, მას უნდა მოეხდინა პროცედურების განხორციელება ევროკომისიის მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელი იყო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებაზე. თუ წევრი ქვეყანა არ იყო კმაყოფილი შემოთავაზებული შეთანხმებით, შესაძლებლობა ჰქონდა ვეტო დაედო საბჭოში ან ეროვნულ პარლამენტში. ამ შემთხვევაში

კომისია გააგრძელებდა მოლაპარაკებას, სანამ წევრი ქვეყანა არ იქნებოდა კმაყოფილი. აღნიშნულის გარეშე, მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ შეთანხმებას არ გაუკეთდებოდა რატიფიცირება.

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში

ევრკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებისთანავე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა “საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017 წწ.”, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. მათ შორის იყო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებასთან დაკავშირებით საკითხები. აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულად რჩება მთავრობის მიერ შემუშავებულ ახალ საშუალოვადიან გეგმაშიც - „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018 - 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა ორი ახალი სააგენტო, რომელთა მიზანი არის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

სააგენტო "აწარმოე საქართველოში", რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და არის სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" განმახორციელებელი პირველი სახელმწიფო უწყება.

სააგენტოს დაფინანსების 3 მიმართულება აქვს: **პროგრამა „სტარტაპ საქართველო“**, **მცირე გრანტები**, **თანადაფინანსების გრანტი**.

მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით არის მთავრობის მიერ

შემუშავებული „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“.

თავი 2. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ეკონომიკური გამოწვევები და პერსპექტივები

2.1. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები

საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა მეტად არასახარბიელო და არასტაბილურ მდგომარეობაში, რასაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და პოლიტიკური ფონი, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას მოყვა ორი ეთნიკური კონფლიქტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ამ ყველაფერმა საქართველოს მყიფე რეპუტაცია საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო დააზიანა. საერთაშორისო პოლიტიკური საზოგადოება 90-იანი წლების განმავლობაში საქართველოს მიიჩნევდა წარუმატებელ და არშემდგარ სახელმწიფოდ.

არსებული არასახარბიელო პოლიტიკური რეალობა არსებითად შეიცვალა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ. საქართველოში ამ პერიოდიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარდაქმნები დაიწყო. 2004 წლის იანვარში ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, *მიხეილ სააკაშვილმა*, საქართველო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის დაჩქარებულ დღის წესრიგში გადაიყვანა. ამავდროულად, გაიზარდა ევროკავშირის ინტერესიც აღმოსავლეთ მეზობლების მიმართ უსაფრთხოების კუთხით პრობლემების მოგვარების მიზნით. 2004 წელს განხორციელდა ევროკავშირში ყველაზე დიდი გაფართოება და გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ითვალისწინებდა გაედრმავებინა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან. ევროკავშირის საგარეო

პოლიტიკა აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან მიზნად ისახავდა მაქსიმალური პოლიტიკური ასოცირების და მაღალი ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევას.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მიღებით დაიწყო ახალი, უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობის ეტაპი საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

აღნიშნული თანამშრომლობის პერსპექტივა ითვალისწინებს შემდეგი სახის ღონისძიებებს საქართველოსთვის:

- უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და ინტეგრაცია ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით;
- საქართველოსა და ევროპული კანონმდებლობების მაქსიმალურად დაახლოება;
- არასატარიფო ბარიერების შემცირების პროცესის გაგრძელება ვაჭრობის, ინვესტიციების მოზიდვის, და, შედეგად ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის.

ევროკავშირთან პარტნიორობის ახალი ფორმატის ფარგლებში შემუშავებული ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის ზოგადად და კერძოდ, ქვეყნის განვითარებადი ბაზრისთვის.

2.2. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ფინანსური გამოწვევები საქართველოსთვის და ევროკავშირის მხარდაჭერა

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ (AA), რომელიც გაფორმდა 2014 წლის 27 ივნისს და სრულად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისს, დააწესა ახალი პრეფერენციული ვაჭრობის რეჟიმი - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სივრცე (DCFTA), რომელიც წარმოადგენს შედარებით ახალ ინსტრუმენტს, რასაც ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან სამ ქვეყანასთან იყენებს: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

შეთანხმების ძირითადი ამოცანაა მოახდინოს ევროკავშირის ისეთი ღირებულებების სტიმულირება, როგორცაა: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, მდგრადი განვითარება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო არეალს (სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და აგრეთვე ითვალისწინებს ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2014 წლიდან ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI) წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობასთან თანამშრომლობის მთავარ ფინანსურ ინსტრუმენტს 2014-2020 წლებისთვის და ითვალისწინებს საქართველოსთვის 610-746 მილიონი ევროს გამოყოფას სხვადასხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

ENI-ის წლიური პროგრამა ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტების მეშვეობით: **საბიუჯეტო მხარდაჭერა, პროგრამები და პროექტები, ტექნიკური დახმარება** (საექსპერტო დახმარების პროგრამები - Twinning, TAIEX, SIGMA), **სხვა**, მაგალითად, NIF - ევროკავშირის გრანტით დაფინანსება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების რომელიც ფინანსდება ევროპული ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან (EBRD, EIB, KFW).

2.3. საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება როგორც ბიზნესის ხელშეწყობის ინსტრუმენტი

რამდენადაც არ უნდა იყოს ევროკავშირი დაინტერესებული, ტრანსფორმაციული ძალა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნები ნებაყოფლობით გამოთქვამენ ევროკავშირთან ურთერთობის გაძლიერების სურვილს და გამოხატავენ გაწევრიანების პროცესისადმი ინტერესს. უდავოა, რომ ევროკავშირის ტრანსფორმაციული ძალა უზარმაზარ გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე გლობალურად.

2009 წლის პრადის სამიტზე ანონსირებული თანამშრომლობის ახალი ფორმატი - „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ (Eastern Partnership - EaP) იყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთგვარი გაუმჯობესება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული ხუთდღიანი რუსეთ-საქართველოს ომი იყო.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს სთავაზობდა ახალ ინსტრუმენტს - „თითქმის სრული წვდომას“ ევროკავშირის შიდა ბაზართან, ევროკავშირის სამართლებრივი აქტების და კანონმდებლობის გადმოღების სანაცვლოდ.

დღეის მდგომარეობით პოლიტიკური დიალოგი და სტრატეგიები ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებით ინიცირებულია ყველა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყანასთან ბელარუსის გარდა, ესენია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა.

გარდა ამისა, სამ ქვეყანასთან ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას. ეს ქვეყნებია: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

ამასთანავე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თითოეულ ქვეყანასთან არის განსხვავებული მიდგომა, რაც შესაბამისად ასახულია შეთანხმებებში.

DCFTA სთავაზობს ჩართულ მხარეს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ეკონომიკურ შესაძლებლობებს. საქართველოსთვის ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან თანდათანობით მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე, საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ საქართველომ გაატარა DCFTA-ით გათვალისწინებული რეფორმების ნაწილი რაც დაგეგმილი იყო მოკლე და საშუალო პერიოდში და ამით ადასტურებს ერთგულებას ევროპული ინტეგრაციის პროცესის მიმართ.

თავი 3. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და გამოყენების მექანიზმი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

3.1. ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის ანალიზი და საქსპორტო პოტენციალის შეფასება

საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა გასულ წელს პროექტის - „საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა“ ფარგლებში და განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების კონსორციუმის მიერ „აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრის“ (EESC, ლიტვა) ხელმძღვანელობით: საქართველოს „ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია“ (ABCO საქართველო), „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“ (GIP, საქართველო), „გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტი“ (GPI, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ (საქართველო), „ათინათი“ (საქართველო) და ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ (საქართველო).

კვლევაში ასახულია საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ასახავს ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ქართველი მწარმოებლების შესვლის მზაობას და ამ მიმართულებით მათთვის არსებულ გამოწვევებს.

კვლევის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის იდენტიფიცირების ძირითადი მიზანი იყო:

- რეგიონულ მცირე და საშუალო ბიზნესზე ზოგადი ინფორმაციის მიღება და მათი პროფილების განსაზღვრა (წარმოების მოცულობა და ექსპორტის პოტენციალი);
- DCFTA-ისთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის დონის დადგენა;
- ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტის პოტენციალისა და მონაწილეობის შეფასება;
- იმ ძირითადი გამოწვევების განსაზღვრა, რომლებიც ევროკავშირის ერთიან ბაზარზე მათ უფრო ეფექტურად ყოფნას აბრკოლებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის იდენტიფიცირების პროცესში, მოხდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განსაზღვრა და გამოკითხვა საქართველოს ცხრა რეგიონში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელთაც DCFTA-ის ფარგლებში ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტის პოტენციალი აქვთ/შესაძლოა გაუჩნდეთ.

3.2. გასაყიდი საქონლის შიდა და საერთაშორისო ფასები

ამ პარაგრაფში ჩატარებული ანალიზის მიზანია ურთიერთკავშირების დადგენა მსოფლიო სავაჭრო ფასებსა და პროდუქციის შიდა ქართულ ფასებს შორის. იმის გამო, რომ ეს საკითხი არ შეიძლება გაანალიზდეს ვაჭრობის ურთიერთდაკავშირებული მიმართულებების გარეშე, გამოვყავით საექსპორტო საქონლის ჯგუფები, რომლებიც კონკურენციას უწევენ იმპორტულ პროდუქციას შიგა ბაზარზე.

წარმოიშვა კითხვა იმის შესახებ, აქვს თუ არა გავლენა საერთაშორისო კონკურენციას სარეალიზაციო საქონლის შიდა ფასებზე საქართველოში. პასუხის გასაცემად უნდა ვნახოთ, თუ როგორ შეიცვალა საქონლის ფასები საქონელზე, რომელიც კონკურენციას უწევს იმპორტირებულ საქონელს შიდა ბაზარზე. თეორიულად, ქართული ფასები შეიძლება იყოს გარკვეულწილად უფრო მაღალი, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე, რაც განპირობებულია სავაჭრო ხარჯების არსებობით, მაგრამ ეს სხვაობა არ უნდა იყოს მნიშვნელოვნად დიდი - ეს იქნებოდა სიგნალი, რომ ქართველ მწარმოებლებს არ ეშინია უცხოურ პროდუქციასთან კონკურენცია.

შემდგომი გათვლების დროს, ჩავთვლით, რომ შიდა ფასების 40%-ით მუდმივი მეტობა კონტრაქტით გათვალისწინებულ ფასებზე (კონტრაქტით გათვალისწინებული უცხოური კვლევების შედეგების მიხედვით) წარმოადგენს ერთიანი ფასების კანონის დარღვევას.

მაღალ საბაზრო კონცენტრაციას, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული სტრუქტურების არსებობას და ბაზარზე შესვლის მაღალ ხარჯებს გარკვეულ პირობებში შეუძლიათ ქართველი მწარმოებლების ხელშეწყობა შიდა ბაზარზე ძალაუფლების მოსაპოვებლად. ქართულ ინდუსტრიაში საექსპორტო პოტენციალს ფლობ ისეთი დარგები, როგორცაა: ქიმიური მრეწველობა; შავი მეტალურგია, აზოტის მრეწველობა, ღვინის, წველებისა და ხილ-ბოსტნეულის, სხვა საკვები პროდუქტების წარმოება. თუმცა ეს არშეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკურენტუნარიანობის უპირობო მტკიცებულება. ანალიზის ფარგლებში ნაჩვენებია, რომ საექსპორტო საქონლის შიდა ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის ერთ-ერთი მანიშნებელი შეიძლება იყოს შიდა ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასები, მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების მიმართ არსებული სისტემური და მნიშვნელოვანი გადაჭარბება. რიგ შემთხვევაში, თუ ხდება ფასების კლასიფიკაციაში მონაცემების არასრული შესაბამისობა, მსოფლიო და შიდა ფასების კორელაცია შეუძლებელი ხდება, მაგრამ მაინც შეიძლება შეფასდეს საქართველოში ფასის ელასტიურობა კონტრაქტის მიხედვით საშუალო ფასების მიხედვით. ერთ ვალუტაში ფასების გადათვლის დროს გამოიყენება აშშ დოლარის საშუალო თვიური კურსი, რომელიც გამოითვლება ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

ვარაუდობენ, რომ პროდუქციის მსოფლიო ბაზარი სრულყოფილი კონკურენციით ხასიათდება, ამის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზები, რომელთა სამართლიანობის ანალიზი წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს სამუშაოს მიზნების თვალსაზრისიდან გამომდინარე:

1. ერთგვაროვანი პროდუქტის იმპორტის არსებობის დროს, მიუხედავად შიდა ბაზრის სტრუქტურისა, შიდა ფასი მსოფლიო ბაზრის ფასს უნდა ჭარბობდეს. გარდა ამისა, ფასთა სხვაობა უნდა შეესაბამებოდეს ერთეულ პროდუქციაზე იმპორტის ხარჯების საერთო ღირებულებას (პირველ რიგში, ეს არის სატრანსპორტო ხარჯები და იმპორტის გადასახდელები). ფასების ინვერსიული (უკუ) თანაფარდობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქონელის უცხოელი მომწოდებლები მთელ ბაზარზე ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას.
2. თუ არსებობს ერთგვაროვან საექსპორტო პროდუქტზე შიდა და მსოფლიო ფასებს შორის დადებითი დიფერენცია, ეს შეიძლება ჩაითვალოს შიდა ბაზარზე ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კონკურენციის არასრულყოფილების სიგნალად. სრულყოფილად კონკურენტული შიდა ბაზრის შემთხვევაში, პროდუქციის შიდა ფასი უნდა იყოს მსოფლიო ფასზე ნაკლები და ფასთა სხვაობა უნდა შეესაბამებოდეს საქონლის ერთეულის ექსპორტთან დაკავშირებულ საერთო ხარჯებს.

ერთიანი ფასის კანონის შესრულების ანალიზით ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ ქვეყანაში 14 იმპორტირებული საქონლის შიდა ფასების დონე და სავაჭრო კონკურენტების საქონლის საშუალო ფასებს (მათ შორის 3 სასაქონლო პოზიციის მუხლებთან არასრული შესაბამისობა) 20 ექსპორტირებულ პროდუქციასთან მიმართებაში.

სარეალიზაციო პროდუქციის შიდა ფასების ელასტიურობის შეფასება ექსპორტ/იმპორტის კონტრაქტების მიხედვით უკვე აღვნიშნეთ შიდა ბაზრის სტრუქტურის გადამწყვეტი გავლენა ურთიერთკავშირების ბუნებასა და სარეალიზაციო პროდუქციის შიდა და მსოფლიო ფასების ურთიერთკავშირების მახასიათებლებზე. სამწუხაროდ, არ არსებობს უნივერსალური და ადვილად გამოსათვლელი მაჩვენებელი, რომლის მნიშვნელობის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ცალსახა დასკვნა მწარმოებლების საბაზრო ძალაუფლების დონის შესახებ. ბაზრის სტრუქტურის სრულად შეფასებისათვის საჭიროა ყოვლისმომცველი

ანალიზისთვის საჭიროა არა მხოლოდ ინდიკატორების კონცენტრაციის (ბაზარზე არსებული ფირმების რაოდენობა და მათი ფარდობითი ზომები), არამედ ბაზრის საქონელტევადობისა და გეოგრაფიული ზომის კვლევა, მწარმოებლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია, ბაზარზე შესვლისა და გასვლის ხარჯების გათვალისწინება და ა.შ. ინდიკატორთ უმრავლესობა შეიძლება გამოთვლილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს უნიკალური მონაცემები ინდივიდუალური საწარმოების კონტექსტში.

3.3. საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა ქართულ ბაზარზე:

სამრეწველო დარგების სტრუქტურის შეცვლა

საერთაშორისო ვაჭრობა და სახელმწიფო საგარეო სავაჭრო რეგულირება დიდ გავლენას ახდენს არა მარტო ფასებზე, არამედ შიდა გაყიდვების მოცულობებზე. ამავდროულად, შესაძლებელია გამოვყოთ როგორც ვაჭრობის მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი ზეგავლენა, რომელიც მოქმედებს დარგის წარმოების სტრუქტურაზე და ჩართულია საგარეო სავაჭრო საქმიანობაში. მოცემულ თავში სწორედ ეს პროცესები წარმოადგენს შესწავლის ობიექტს.

სავაჭრო დანახარჯები და პროდუქციის შიდა და საერთაშორისო მიწოდებების მოცულობები მოკლევადიან პერიოდში. მსოფლო და შიდა ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის შემთხვევაში, საექსპორტო ბარიერების შემცირებამ ხელი უნდა შეუწყოს შიდა ბაზარზე მიწოდების მოცულობის მატებას, რაც უცხოეთიდან საქონლის მიწოდების ხარჯზე ხდება. უცხოური მიწოდება მატულობს მაშინ, როცა ადგილი აქვს შიდა მწარმოებლების მიერ პროდუქციის გამოშვების ერთგვარ შემცირებას. ექსპორტის გზაზე შეზღუდვების შემცირებამ ხელი უნდა შეუწყოს საქონლის წარმოების მთლიანი შიდა მოცულობის ზრდას, რომლის დროსაც ადგილი აქვს შიდა ვაჭრობის მოცულობის შემცირებას, რაც განპირობებულია პროდუქციის ექსპორტის მოცულობის ზრდით.

ვაჭრობის გავლენა სარეალიზაციო საქონლის მწარმოებელთა რაოდენობაზე. საერთაშორისო ვაჭრობა საწარმოს უქმნის არა მარტო

მასშტაბის (ზომების) ცვლილებების სტიმულებს, არამედ ზრდის დარგის მწარმოებელთა რაოდენობასაც. ეს დამოკიდებულება ვერ შესრულდება იმ დარგებისთვის, სადაც დანახარჯები რეკლამაზე და სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევებზე საკმაოდ მნიშვნელოვანია და საგრძნობ გავლენას ახდენენ კომპანიების შედარებით კონკურენტუნარიანობაზე. ამ შემთხვევაში ფირმები, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე შემოსვლას, იწყებენ კონკურირებას შესაბამისი დანახარჯების მოცულობების მიხედვით, რითაც ცდილობენ, საკუთარი თავისთვის უზრუნველყონ მაქსიმალური მოცულობის მოგება ბაზრიდან გასვლის შემდეგაც. მაგრამ ეს ხელს უწყობს ამ ხარჯების წონასწორობის ზრდას ყველა ფუნქციურ ფორმასთან დაკავშირებით, რაც ამცირებს პოტენციურ მოგებას და ეწინააღმდეგება ახალი კომპანიების შემოსვლას ბაზარზე. ანუ, სხვა სიტყვებით, იწვევს კონცენტრაციის შემცირებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს შედეგი შენარჩუნებულია ოლიგოპოლიური მოდელების დიდი კლასისათვის: მიუხედავად იმისა, აწარმოებს თუ არა კომპანია ერთ ან რამდენიმე პროდუქტს, დარგის ფირმების ურთიერთქმედებების მახასიათებლები დამოკიდებულია ბაზარზე შესვლის თანამიმდევრობაზე (ერთდროულად, თანმიმდევრობით).

3.4. საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ჩართული მრეწველობის დარგების სტრუქტურა: განვითარების 15 წლის პერსპექტივები

როგორც წინა პარაგრაფში იყო ნაჩვენები, დახურული ღია ეკონომიკაზე გადასვლა ქმნის ახალ სტიმულებს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ დარგებში მწარმოებლების შედარებითი პარამეტრებისა და რაოდენობის შესაცვლელად. წარმოდგენილი კვლევის ობიექტია საქართველოს მრეწველობის დარგების ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი ცვლილების ტენდენციები და მექანიზმები, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის როლი აღნიშნულ პროცესებში.

წარმოების სტრუქტურის ანალიზის მეთოდოლოგია. წარმოების სტრუქტურას და მისი ცვლილებების კანონზომიერებებს შეიძლება თვალი მივადევნოთ კონცენტრაციის მაჩვენებლების გამოყენებით. კონცენტრაციის

მაჩვენებლების სახით საერთაშორის სტატისტიკურ ფორმებში გამოიყენება რამდენიმე ძირითადი ინდიკატორი:

- დარგის საწარმოების რაოდენობა n (საწარმოო სივრცეები),
- კონცენტრაციის ინდექსი, რომელიც წარმოადგენს დარგის უმსხვილეს საწარმოთა საერთო წილს (k) მისივე ზომის შერჩეულ მაჩვენებელში (გამოშვების მოცულობა ნატურალურ/ღირებულებით გამოხატულებაში; დასაქმებულთა რაოდენობა და სხვა მსგავსი): $CR_k = \sum s_i$, სადა s_i არის (საწარმოების) ცალკეულ მონაწილეთა წილი ($i = 1, \dots, k$).

უმსხვილესი საწარმოების რაოდენობა, პრინციპში, შეიძლება იყოს ნებისმიერი. ქართულ სტატისტიკაში გამოითვლება მონაცემები საწარმოების კონცენტრაციისათვის ერთი, სამი, ოთხი, ექვსი, რვა, თხუთმეტი, ოცდახუთი და ორმოცდაათი უმსხვილესი წარმოსათვის. რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე, მით მეტადაა კონცენტრირებული დარგი.

ქართული მრეწველობის დარგებში წარმოების კონცენტრაციის ცვლილებების ზოგადი ტენდენციები: დაგროვილი მტკიცებულებები და ახალი მონაცემები. აღვწერთ საბაზრო რეფორმების შემდეგ დაგროვილი მონაცემები წარმოების კონცენტრაციის ცვლილებების ზოგადი ტენდენციების შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ, რამდენად ტიპურია ესა თუ ის ცვლილება დარგების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. კონცენტრაციის ზრდა ხდებოდა დარგებში, რომლებსაც გააჩნდათ შედარებით დაბალი თავდაპირველი კონცენტრაციის დონე, მაშინ როცა კონცენტრაციის შემცირება ხდებოდა იმ დარგებში, სადაც ფიქსირდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონე. ამავე დროს საქართველოში წარმოების კონცენტრაციის ზრდის ზოგადი ტენდენცია დომინირებს. პროდუქციის კონცენტრაციის განხილულ პერიოდში: OKOHX -ში განხილული 18 დარგიდან 12-ში შეინიშნებოდა კონცენტრაციის ზრდა, მხოლოდ 6 დარგში დაფიქსირდა კონცენტრაციის შემცირება.

გაეროს ეკონომიკური ანალიზის ბიუროს მიერ ჩატარებულ კვლევაში ნაჩვენებია, რომ 2006-2018 წლებში საწარმოების მიერ ათვისებული იქნა

პროდუქციის დარგთაშორის დასახელების ნომენკლატურა (წარმოების დივერსიფიკაცია). ამავე დროს, ავტორთა კოლექტივის მიერ არ იქნა გამოვლენილი ნომენკლატურის ჭრილში წარმოების კონცენტრაციის ცვლილებების დომინირებული ტენდენცია: წარმოებული პროდუქტის ტიპის დაახლოებით იმავე რაოდენობისთვის, წარმოების კონცენტრაცია გაიზარდა და შემცირდა. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში საქართველოს მრეწველობის დარგებში წარმოების კონცენტრაციის ცვლილებების დრმა, ყოვლისმომცველი ანალიზი ჩაატარა.

წარმოების კონცენტრაციის ცვლილებების ტენდენციები საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ დარგებში. ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად შეეჯახნენ საერთაშორისო კონკურენციას 1990-იანი წლების დასაწყისში, მეტად მნიშვნელოვანი უნდა გახდეს საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობის ფაქტორი. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში და კონკურენციაში ჩართულობა განუხრელად ზრდის ადგილობრივი მწარმოებლების მონაწილეობის მასშტაბებს. თეორიებში არაფერია ნათქვამი საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად ჩართულობის პირობებში წარმოების კონცენტრაციის ცვლილების ერთმნიშვნელოვნებაზე. მაგრამ მოსალოდნელია, რომ განსახილველ პერიოდში წარმოების კონცენტრაციის ცვლილებათა მასშტაბი, მიუხედავად ამ ცვლილების მიმართულებისა, გაცილებით მაღალი იყო საერთაშორისო ვაჭრობაში მეტად ჩართულ დარგებში.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა, დარგების ჭრილში ჩატარდეს წარმოების კონცენტრაციის ცვლილებების ტენდენციის ანალიზი. საექსპორტო დარგებიდან იმ დარგების გამოსაყოფად, რომელთა პროდუქცია კონკურენციაშია იმპორტთან, გამოიყენება საქსტატის მონაცემები ძირითადი პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების მიხედვით, ნატურალურ და ფულად გამოხატულებაში. წმინდა ექსპორტის გაანგარიშებისას, სადაც ეს შესაძლებელია, გამოიყენება მონაცემები ნატურალური სახით იმისათვის,

რომ გამორიცხულ იქნას ექსპორტისა და იმპორტის ფასებში განსხვავებების გავლენა საბოლოო შედეგზე.

საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულების მიხედვით ჩატარებული გამოთვლების შედეგების მიხედვით, გამოვყავით სამი სასაქონლო ჯგუფი: ა) ძირითადად ექსპორტირებული საქონელი; ბ) ძირითადად იმპორტირებული საქონელი; გ) არასავაჭრო საქონელი და საქონელი შედარებადი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების მიხედვით.

3.5. საჯარო-კერძო პარტნიორობა როგორც სახელმწიფოს და ბიზნესის ეფექტიანი ურთიერთმოქმედების მექანიზმი. უცხოური გამოცდილება და მისი საქართველოში იმპლემენტაციის პერსპექტივა

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საჯარო-კერძო პარტნიორობა. ფართო გაგებით ტერმინი საჯარო-კერძო პარტნიორობა სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა, თავად ტერმინი არც თუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრდა.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, საჯარო-კერძო პარტნიორობა როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი აქტიურად გამოიყენება. ამგვარი თანამშრომლობა, როგორც წესი, სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის გრძელვადიან, პარტნიორულ ურთიერთობებს ეფუძნება. ასეთი პარტნიორობა ხელს უწყობს ინტერესთა ბალანსის დაცვას და შედეგად მიიღება მეტად გაწონასწორებული რეგულაციები და დახვეწილი სახელმწიფო სერვისები. საბოლოოდ კი ყოველივე ეს ეკონომიკური ზრდის და განვითარების ხელშემწყობად გვევლინება.

იმ პირობებში, როდესაც მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვა მრავალი, საჯარო-კერძო პარტნიორობა არის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო (პირადაპირი) საშუალება, როდესაც სახელმწიფო და კერძო

სექტორი უბრალოდ რისკებს ინაწილებენ და ამის საფუძველზე საჯარო ინტერესი უფრო დაბალანსებული ხდება. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის ზრდაზე და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ეს ჩარჩო კანონმდებლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. აღნიშნულმა ცვლილებამ ბევრად უნდა დააჩქაროს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და აგრეთვე ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმოვიხილავთ საჯარო-კერძო პარტნიორობის ძირითად პრინციპებს და საქართველოში ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებს. ყურადღებას გავამახვილებთ ევროპის ქვეყნებში საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობით განხორციელებულ ისეთ მსხვილ და გავრცელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, როგორცაა ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა, აგრეთვე აღნიშნული მექანიზმის გამოყენებას სოფლის მეურნეობის სფეროში.

საჯარო-კერძო პარტნიორობა გულისხმობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის გრძელვადიან თანამშრომლობას იურიდიული კონტრაქტის (კონტრაქტების) საფუძველზე. კონტრაქტს, ხშირ შემთხვევაში, „საპროექტო შეთანხმება“-ს უწოდებენ. პარტნიორობის ფარგლებში ხდება კერძო სექტორის ფულადი სახსრებისა და გამოცდილების გამოყენება საჯარო ინფრასტრუქტურისა თუ მომსახურების პროექტების განსახორციელებლად, რასაც ფულადი სახსრების და გამოცდილების გარდა სხვა მრავალი სარგებელიც მოაქვს.

პროექტის შედგენასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების ძირითად ნაწილს პროექტის პარტნიორი კერძო კომპანია ან კონსორციუმი იღებს საკუთარ თავზე, ხოლო მთავრობა იტოვებს იმ რისკებისა და პასუხისმგებლობების ტვირთს, რომელთა მოგვარებაც სამთავრობო დონეზე უფრო ეფექტურად და სწრაფად არის შესაძლებელი.

ხშირ შემთხვევაში კერძო სექტორს წარმოადგენს სამშენებლო და საექსპლუატაციო კომპანიების კონსორციუმი, თავიანთ მსესხებლებსა და ინვესტორებთან ერთად. როგორც წესი, კერძო სექტორის კონტრიბუციას, წარმოადგენს: ფინანსური მხარდაჭერა; გამოცდილება, ექსპერტიზა, ტექნიკური ცოდნა, ეფექტურობა და სხვა პრაქტიკული სარგებელი.

დღესდღეობით საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის აღნიშნულ ფორმატს სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნისთვის მოაქვს სარგებელი, რომლებიც გაერთიანებული სამეფოსა და სხვა ქვეყნების წარმატებულ მაგალითს აქტიურად იყენებენ.

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობის, სხვა მკვლევარების მიერ მიღებული შედეგების შედარებითი და კრიტიკული ანალიზის პროცესში ჩამოყალიბდა და დასაბუთდა ჰიპოთეზები, რომლებიც განსხვავდებიან საქართველოს მრეწველობის დარგებში საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული საწარმოების კონცენტრაციის მიმართულებაში არსებულთაგან. კერძოდ, ჩვენ ვივარაუდეთ:

1. საექსპორტო დარგებში, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ხასიათდებიან შედარებით დაბალი და მუდმივი დანახარჯებით რეკლამაზე, სამეცნიერო, კვლევით და ტექნოლოგიურ სამუშაოებზე, მსოფლიო და ქვეყნის ვაჭრობის ლიბერალიზაციამ უნდა გამოიწვიოს მწარმოებელთა რაოდენობის ზრდა მაშინ, როცა ადგილი ექნება მათ შორის უმსხვილესების ზომების კიდევ უფრო მატებას. პირველი ეფექტის დომინირების დროს, რომელიც განპირობებულია რეალიზაციის ბაზრის გაფართოებით, შესამჩნევი იქნება წარმოების კონცენტრაციის შემცირება. მეორე ეფექტის დომინირებისას, რომელიც დაკავშირებულია მსხვილი მწარმოებლების მისწრაფებასთან, მასშტაბის ზრდის საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე მოახდინონ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, ადგილი ექნება წარმოების კონცენტრაციის ზრდას;
2. საზოგადოდ დარგებში, რომლებიც შიდა ბაზარზე კონკურენციას უწევს იმპორტს, ურთიერთკავშირი წარმოების კონცენტრაციასა და საგარეო

ვაჭრობის ბარიერების სიმაღლეს შორის არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, შეიძლება ველოდოთ მის შემცირებას მწარმოებლების შედარებითი ზომების გამოთანაბრების ხარჯზე მას შემდეგ, რაც მოხდება იმპორტის გზაზე არსებული შეზღუდვების შემცირება. ამავე დროს, როცა ადგილი აქვს ძალზე ინტენსიურ უცხოურ კონკურენციას, რომელიც იწვევს ყველაზე დაბალეფექტური მწარმოებლის საწარმოო საქმიანობის შეწყვეტას, ეფექტი, რომელიც განპირობებულია ქართული მწარმოებელი ფირმების რაოდენობის შემცირებით, შეიძლება აღემატებოდეს მათი წილების შემცირების ეფექტს. ამ შემთხვევაში, წარმოების კონცენტრაციის საბოლოო ცვლილება იქნება დადებითი.

საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების ქცევებზე შიდა სასაქონლო ბაზარზე. რიგ შემთხვევაში სასაქონლო ბაზრებზე კომპანიის საფასო პოლიტიკის შესწავლამ და საერთაშორისო შედარებების ჩატარებამ შეიძლება მოგვცეს დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებათა, მწარმოებლების მიერ საბაზრო ძალაუფლების ფლობისა და საერთაშორისო კონკურენციის ინტენსიურობის შესახებ.

ქართულ ბაზარზე საქონლით ვაჭრობის მონაცემების მიხედვით ჩატარებულია მსგავსი დაწვრილებითი ანალიზი, რომლის ფარგლებში მიღებულია რიგი საინტერესო შედეგები:

1. გასული ბოლო ათი წლის განმავლობაში, შეიმჩნევა მსოფლიო ბაზრის ფასების და საქონლის შიდა ფასების დაახლოება. თუმცა, ერთიანი ფასის კანონი ყოველთვის არ არის აღსრულებული: ანალიზის პროცესში გამოვლინდა საქონელი, რომელიც გვიჩვენებს, როგორც გადაჭარბებულ (აზოტისა და კომპლექსურ სასუქებზე, ხე-ტყეზე და მიწებზე), ასევე შემცირებულ (ქერი, ხილი, მანგანუმი) ფასებს შიდა ბაზარზე. როგორც თეორიული და პრაქტიკული ანალიზი გვიჩვენებს, ეს შეიძლება იყოს შესაბამისი საქონლის შიდა ბაზრებზე არსებული კონკურენციის არასრულყოფილების სიგნალი. კანონიდან ფასის კიდევ ერთი გადახვევის

მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფო საგარეო ვაჭრობის რეგულირების თავისებურება;

2. ექსპორტირებული საქონლის ჯგუფი საშუალოდ ასახავს საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტების მიხედვით შიდა ფასების უფრო მაღალ ელასტიურობას, ვიდრე იმპორტირებული საქონლის ჯგუფები. ეს ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტიორი კომპანიები შიდა ბაზარზე საკუთარ საფასო პოლიტიკას წარმართვისას უფრო მოქნილად რეაგირებენ საერთაშორისო ვაჭრობის პირობების ცვლილებაზე, ვიდრე პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც კონკურირებენ იმპორტთან, როცა ადგილი აქვს იმპორტული საქონლის ფასების ცვლილებას;
3. ექსპორტირებულ პროდუქციაზე საქართველოში ფასების შემცირების პერიოდში, ისინი ნაკლებად ხალისიანად მიყვებიან მსოფლიო ფასებს, ვიდრე ზრდის პერიოდებში. საქონლის ჯგუფისათვის, რომელიც შიდა ბაზარზე იმპორტთან კონკურირებენ, აღნიშნული ფაქტი გამოვლენილი არ არის. მიღებული შედეგის ახსნის ერთერთი შესაძლებლობაა - ხსენებული ჯგუფების შიდა სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის განსხვავებული ინტენსივობა: ქართველი მწარმოებელი ექსპორტიორები უკეთესად აკონტროლებენ საკუთარი საქონლის შიდა ბაზრებს და ფლობენ დიდ შესაძლებლობებს გადამეტებული ფასების შენარჩუნებაში (საბაზრო ძალაუფლება).

საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში მზარდი ინტეგრაციის პირობებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართველი მწარმოებლის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე. ეს საკითხი მეტ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხოლო მისი კვლევა ასრულებს აუცილებელი ინფორმაციული ბაზის როლს ოპტიმალური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მსოფლიო ბაზრის მასზე ეგზოგენური ზეგავლენების გათვალისწინებაში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია:

პუბლიკაციები:

1. დევიძე თ., შოშიტაშვილი დ. გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები. ჟურნ. სოციალური ეკონომიკა. №1, 2018.
2. დევიძე თ., შოშიტაშვილი დ. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში. ჟურნ. ეკონომიკა. №10-11. 2018.
3. დევიძე თ., უშვერიძე ლ., შოშიტაშვილი დ. საქართველოს 2018 წლის რეიტინგები(გლობალური კონკურენტუნატიანობის ინდექსი 4.0, 2018 წ.). საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“.XXXIII.თბ., 2019.
4. დევიძე თ., უშვერიძე ლ., შოშიტაშვილი დ. კონკურენტული ანალიზი. ჟურნ. ეკონომიკა. №5. 2019.
5. უშვერიძე ლ., შოშიტაშვილი დ., ოთინაშვილი რ., Assessment of the Competitiveness of Territorial Units of Georgia, The European Journal of Humanities and Social Sciences, Premier Publishing, ISSN 2414-2344, Vienna, №2, 2019, p. 162-167.

კონფერენციები:

1. დევიძე თ., შოშიტაშვილი დ. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ფინანსური გამოწვევები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი. გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. II, 2018.
2. დევიძე თ., შოშიტაშვილი დ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიასა და ბალტიის საერთაშორისო აკადემიის პარტნიორობით გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესი -- გამოწვევები, პრობლემები, პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. ივერონი. თბ., 2018.
3. დევიძე თ., შოშიტაშვილი დ. საჯარო-კერძო პარტნიორობის პერსპექტივები ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და

- ბიზნესის ფაკულტეტი. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. საქართველო, თბილისი. 26-27 ოქტომბერი. 2018.
4. შოშიტაშვილი დ. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური აღიარება, თუ მიზანზე ორიენტირებული შეთანხმება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სტუდენტთა 86-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თეზისების კრებული. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.თბ., 2019. (კონფერენციის გამარჯვებული, აღებული აქვს I ხარისხის დიპლომი).
 5. დევიძე თ., შოშიტაშვილი დ. ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში საქართველოს უკეთესი მომავლისათვის(ინგლისურ ენაზე). უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია. ციფრული ეპოქა და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. ივერონი. თბ., 2019.
 6. დევიძე თ., შოშიტაშვილი დ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და გამოყენების მექანიზმი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. თბ., 24-25 მაისი. 2019.

კოლოქვიუმები:

1. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები.
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მეწარმეობის განვითარებისთვის.